ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ზ უ გ დ ი დ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს გ ა მ გ ე ო ბ ა
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY GOVERNMENT

გამგებლის გრძანება

N 544
23/02/2017

544-02-4-201702231713

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალაბასთუმნის საჯარო სკოლის საპირფარეშოს დემონტაჟის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის", „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების „დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების, განაშენიანების რეგულირებისა და სამშენებლო სამართალდარღვევის" საკითხთა კომისიის 2017 წლის 22 თებერვლის №3 ოქმის შესაბამისად:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნება მიეცეს სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალაბასთუმნის საჯარო სკოლას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ. ახალაბასთუმანში, აწარმოოს, სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ კოდით: #43.15.41.005) მდებარე სკოლის საპირფარეშოს შენობის დემონტაჟის სამუშაოები.
2. დემონტაჟის სამუშაოები ჩატარდეს უსაფრთხოების ნორმების დაცვით.
3.დემონტაჟის სამუშაოების შემდეგ, ტერიტორიიდან გატანილ იქნეს სამშენებლო ნაგავი, სოფ. ახალაბასთუმნის წარმომადგენელთან შეთანხმებით.
4.დემონტაჟის სამუშაოები, წარმოებულ იქნეს წარმოდგენილი პროექტისა და კალენდარული გეგმის დაცვით.
5.დემონტაჟის სამუშაოებზე კონტროლი დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურს.
6 .ბრძანება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.
7.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი, რ. ლაღიძის ქ. #12)

საფუძველი: 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N43.15.41.005
2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის წერილი.
3. საქართველოს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის წერილი.
4. დემონტაჟის პროექტი.
5. ქვითარი მოსაკრებლის გადახდის შესახებ

ლაშა გოგია

გამგებელი

2100 ზუგდიდი. რუსთაველის ქ. 90. ტელ: (0415) 25 01 23, (0415) 22 21 03 E- mail: zugdidi.gamgeoba@gmail.com